ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2025-წლის ნოემბრიდან 2026-წლის მაისამდე განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ.

წარმოგიდგენთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026 წლის 10 მაისამდე გაწეული მუშაობის ანგარიშს.საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისია მუშაობას წარმართავდა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების შესაბამისად.

2025 წლის 1 ნოემბრიდან 2026წლის 10 მაისამდე კომისიამ ჩაატარა 6 კომისიის სხდომა.კომისიაში გაწევრიანებულია 10 წევრი.კომისიის სხდომებს იწვევდა და წარმართავდა კომისიის თავმჯდომარე.საკითხებს განვიხილავდით მერიის ჯანმრთელობისა და სოციალურ სამსახურთან,ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებასთან,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან,სათნოების სახლთან,სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან კოორდინირებული მუშაობის რეჟიმში.კომისია აქტიურად მუშაობდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვაში და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასა და შემლებისდაგვარად მის მოგვარებაში. კომისიის სხდომებზე აქტიურად განიხილება წლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილებები,რომლებიც დაკავშირებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების გაუმჯობესების მიზნით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია. 2026 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით 342,0 ათასი ლარით მეტი დაიგეგმა. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯები 100,0 ათასი ლარითაა გაზრდილი გასულ წელთან შედარებით. ასევე, 100,0 ათასი ლარითაა გაზრდილი ერთჯერადი ფინანსური დახმარების დაფინანსება, ჰემოდიალიზის სეანსებით მოსარგებლეთა ყოველთვიური დახმარების თანხა გაიზარდა 50 ლარით და შეადგენს 250 ლარს.გაორმაგებულია ხანდაზმულთა დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული გასაცემელი. ასევე, გაზრდილია

არასრულწლოვათა დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებული თანხა. მიმდინარე წელს, მარტო მცხოვრები უსახლკაროებისთვის დაგეგმილია სამი საცხოვრებელი კონტეინერის შეძენა. გაზრდილია უსახლკაროთა და მომეტებული საფრთხის ქვეშ მცხოვრებთა ქირით უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი თანხა. 56,0 ათასი ლარით მეტია დაგეგმილი უფასო სასადილოს დაფინანსება, რაც იძლევა საშუალებას, მეტ მოწყვლად ოჯახს გაეწიოს დახმარება. 2025 წლის ბოლოს ბიუჯეტის დაგეგმარების დროს საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაციები შემდეგი მიმართულებით:

1) ყოველ ახალშობილი ბავშვის დახმარება ოჯახებზე გაზრდილი ყოფილიყო 100 ლარის ოდენობით.
2) სოციალურად შეჭირვებულ ბენეფიციარებზე გაიზარდოს ერთჯერადი პაკეტის რაოდენობა და 70 ლარის ნაცვლად გახდეს 100 ლარი.
ორივე რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა მერიის სამსახურების მიერ.

ხარაგაულის სჯც -ს მიერ სანიტარულ-ჰიგიენური ზედამხედველობა, მონიტორინგის სახით, მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ზოგად საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში მოწოდებული აქტების შესაბამისად. მონიტორინგი განხორციელდა სოფ. ბაზალეთის, საღანძილის, ლეღვნის, კიცხის, ვარძიის, ხიდრის, მარელისის,ვახანის, ბორითის, უბისის საჯარო სკოლებსა და საბავშვო ბაღებში.აღნიშნულ საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფოლებელია.

წარმატებით ხორციელდება C ჰეპატიტისა და შიდსის სახელმწიფო პროგრამა. მოგეხსენებათ ეს პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია დადებითი შეთხვევების დროულად გამოვლენის კუთხით. ტესტირება მიმდინარებს როგორც ბინაზე გამსვლელი ჯგუფის მიერ ასევე საექიმო ამბულატორიებში. სულ გატესტილია 338 ბენეფიციარი.

6 მაისს განხორციელდა უფასო სკრინინგ აქცია, რაც მოიცავდა შემდეგ მომსახურებებს:

1) ძუძუს კიბოს სკრინინგი,
2) საშვილოსნოს ყელის სკრინინგი,
3) პროსტატის სკრინინგი,
4) არტერიული წნევის სკრინინგი,
5) ც და ბ ჰეპატიტის,
6) შიდსის სწრაფი ტესტირება.

აქციის შედეგები:

1. ძუძუს კიბოს სკრინინგი (მამოგრაფია) - 68; მათ შორის ექოსკოპია 10;

2. საშვილოსნოს ყელის სკრინინგი - 30;

3. პროსტატის სკრინინგი - 20;

4. ც, ბ ჰეპატიტის, შიდსის სწრაფი ტესტირება - 72;

5. სისხლში გლუკოზის განსაზღვრა -49;

6. არტერიული წნევის სკრინინგი 34.

ოქტომბრის თვიდან აქტიურად დაიწყო და მიმდინარე წელშიც გაგრძელდა სეზონური გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინაციის კამპანია. ვაქცინაციით ისარგებლა მუნიციპალიტეტის 2224 მოქალაქემ.

2026 წლის I კვარტლის განმავლობაში ხარაგაულის მუნიციპალიტეტში პროფილაქტიკური აცრებით სამიზნე კონტიგენტის მოცვის მაჩვენებელი ნაჩვენებია ცხრილში:

	ვაქცინის დასახელება	გეგმა	შესრულება	%
1	ჰექსაქსიმი დყტ ბ ჰეპ, ჰემ, პოლიო-3	65	14	21,5
2	ტეტრაქსიმი 18-24 თვის ასაკის ბავშვები დყტპოლიო	59	13	22,0
3	ტეტრაქსიმი 5 წლის ასაკის	67	17	25,4

	ბავშვები			
4	პნევმოკოკის ვაქცინა 1	65	17	26,1
5	პნევმოკოკის ვაქცინა 2	65	14	21,5
6	ა.პ.ვ (1) - 10-11-12 წელი	141	8	5,6
7	ა.პ.ვ. (2) – 10-11-12 წელი	141	14	9,9
8	წითელა, წითურა, ყბაყურა 1 წელზე	65	14	21,5
9	წითელა, წითურა. ყბაყურა 5 წელზე	67	17	25,4
10	ტეტანუსი, დიფტერია 14 წელზე	132	12	9,1
11	როტა-1	65	12	18,4
12	როტა-2	65	11	16,9
13	პნევმოკოკის ვაქცინა 3	65	14	21,5

ცხოველთა მიერ დაკბენის, დაკაწვრის, დადორბვლის იყო 61 შემთხვევა; ყველა დაკბენილზე გაგზავნილია შეტყობინება ვეტ. სამსახურში, დამკბენ ცხოველზე ვეტ. ზედამხედველობის დამთავრებამდე. დაკბენილებს უტარდებათ ანტირაბიული აცრები ინსტრუქციის შესაბამისად. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია შემდეგი ინფექციები: ტუბერკულოზი 7 შემთხვევა,ყველა

საბოლოო შედეგით უარყოფითი; 0-5 წლმდე ბავშვთა სიკვდილიანობა1; .ლეპტოსპიროზი 3 შემთხვევა, სამივე უკუგდებული.

მოგეხსენებათ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედებს მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება, რომლის მიზანია ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდის ხელშეწყობა და ოჯახის გაძლიერებაზე ზრუნვა;2026 წლის 1 იანვრიდან 30 აპრილამდე ბავშვთა განყოფილებაში მოკვლეულია 22 ოჯახი,რაც მოიცავს 40-ზე მეტ არასრულწლოვანს. მათი საჭიროებები შეფასებულია ბავშვთა სოც მუშაკის მიერ და ოჯახის გაძლიერებაზე, თანხის გამოყოფის მიზნით გადაწყვეტილება მიღებულია მულტიდისციპლინური (შესაბამისი სპეციალისტებით დაკომპლექტებული) გუნდის მიერ.

საანგარიშო პერიოდში არასრულწლოვანთა მხარდაჭერის პროგრამიდან გაცემულია 28 340 ლარი, რომელიც მიმართულია მოწყვლადი ოჯახების სოციალური მდგომარეობისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების, ასევე, ეკონომიკური გაძლიერებისა და არასრულწლოვნების სხვადასხვა საჭიროებების მოგვარების მიზნით; არასრულწლოვანთა მხარდაჭერის ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს „პოზიტიური მშობლობის“ კომპონენტს, რომელიც განყოფილების სპეციალისტების მუშაობის პროცესში გამოკვეთილ საჭიროებებზე დადგინდა. კერძოდ, აღნიშნული ქვეპროგრამის მიზანია მშობლებისთვის პოზიტიური უნარების განვითარება ბავშვის აღზრდის კომპონენტში. პროგრამის ფარგლებში მოწყვლად მშობლებთან მუშაობს ფსიქოლოგი(ინდივიდუალური სეანსები).

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია მჭიდროდ თანამშრომლობს სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან, მოგესხენებათ რომ ვირუსული და ბაქტერიოლოგიური დაავადებების გადამტანი ცხოველები საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის.აქედან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გატარებული ღონისძიებები სურსათის ეროვნული ცენტრის მიერ.დაავადებათა დროული აღმოჩენა,მკურნალობა და ცხოველთა ვაქცინაცია.2026წლისათვის დაგეგმილია ვაქცინაციის ჩატარება: ბრუცელოზზე 2000 მეტ მსხვილფეხა რქოსნები,ცოფზე-4500 ძაღლი და კატა,ჯილეხზე-350 მსხვილფეხა რქოსანი,(დაავადების კერა სოფელი ჩრდილი და დეისი) და თურქულზე ვაქცინაცია-რევაქცინაცია უნდა ჩაუტარდეს 5000-მდე როგორც მსხვილ ასევე წვრილ რქოსან პირუტყვს.დაიჩიპება 1800 ძაღლი. ამ დროისათვის სურსათის ეროვნული სააგენტო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახორციელებს თურქულის საწინააღმდეგო ვაქცინაცია-

რევაქცინაციას.ვაქცინაცია ჩაუტარდა დაახლოებით 2000 სულ მსხვილფეხა პირუტყვს და 100 -მდე წვრილფეხა პირუტყვს,ხოლო რევაქცინირებულია 100 სული მსხვილფეხა პირუტყვი,ღონისძიება გრძელდება.ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იდენტიფიკაცია უნდა ჩაუტარდეს (ე.წ დაბირკვა) 4800 მსხვილფეხა პირუტყვს და 500 წვრილფეხა პირუტყვს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელზე შემოსულ იქნა წერილი ყოფილი საკრებულოს დეპუტატის ინგა მაღრაძის სახელით,სადაც გვთხოვდა სოფელ ლეღვანში და სოფელ დიდვაკეში მცხოვრები ოჯახების მდგომარეობის შესწავლას და შესაბამის რეაგირებას.

კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ამ ოჯახების სოციალური მდგომარეობა და გაირკვა,რომ ისინი არიან სოციალურად დაუცველები და უკლებლივ მიიღებენ ყველა სახელმწიფო თუ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილ სოციალურ დახმარებებს.ასევე ამ ოჯახებთან მჭიდროდ მუშაობს ხარაგაულის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება,რომელთა მიერ მაქსიმალურად იქნა გამოყენებული მათ ხელთ არსებული რესურსები.ვინაიდან ამ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები არიან არასრულწლოვნები,გამომდინარე ამ საკითხის კონფიდენციალურობიდან ამ ეტაპზე მეტი ინფორმაციის გასაჯაროების უფლება არ გვაქვს.დაინტერესებულ პირებს მეტი ინფორმაციის მისაღებად, შეუძლიათ მიმართონ ხარაგაულის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილებას.

ასევე ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატ გივი მაისურაძის მიერ დასმულ იქნა საკითხი ვერტყვიჭალაში მცხოვრები ოჯახის სოციალური მდგომარეობის შესახებ .ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიამ შეისწავლა აღნიშნული საკითხი და დაადგინა: რომ ამ პიროვნების მამა გარდაცვლილია,დედა და მისი სამი შვილი,რომელიც არიან შშმ პირები ამჟამად ცხოვრობენ ქალაქ ზესტაფონში და არიან დასაქმებულები კერძო სექტორში.იმ პერიოდისათვის როდესაც ოჯახი ცხოვრობდა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ისენი იყვნენ და ეხლაც არიან სოციალურად დაუცველები,ღებულობდნენ და ღებულობენ სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმართველობის სოციალური პროგრამის ფარგლებში არსებულ ფინანსურ დახმარებებს და შეღავათებს. ორი წლის წინათ, ვინაიდან მათი საცხოვრებელი სახლის სახურავი იყო დაზიანებული მუნიციპალიტეტის მერიის მიერ კაპიტალურად იქნა შეკეთებული.ქალბატონი და მისი სამივე შვილი დასაქმებულები იყვნენ სოციალურად დაუცველთა პროგრამით,და ოთხივე პიროვნება ღებულობდნენ

300-300 ლარს.ხოლო 2025 წლის ბოლოს ვინაიდან ორი წლის განმავლობაში სისტემატურად არ ცხოვრობდნენ სოფელში და არ ღებულობდნენ დასაქმების პროგრამით მათზე დაკისრებულ სამუშაოებში მონაწილეობას მათ ეს დახმარება შეუწყდათ.(კონფიდენციალურობიდან გამომდინარე სახელების და გვარების გაჟღერება აკრძალულია.)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ მიმდინარეობს აქტიური მუშაობა,რათა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებლებს მიეწოდოს ინფორმაცია უფასო მედიკამენტებით სარგებლობასთან დაკავშირებით.დღესდღეობით მოკვლეულია ინფორმაცია უფასო მედიკამენტებთა დასახელების შესახებ(200-მდე მედიკამენტი) და მიმდინარეობს შესაბამისი ბუკლეტების დამზადება,რომლებიც გადაცემულ იქნება მოქალაქეებზე შეხვედრების დროს მათი ცნობიერების ასამაღლებლად ამ საკითხთან დაკავშირებით.

ხარაგაულოს საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია მადლობას უხდის მერიის სამსახურებს მჭიდრო თანამშრომლობისათვის და მე პირადად კომისიის თავმჯდომარე მადლობას ვუხდი კომისიის ყველა წევრს აქტიური მუშაობისა და თანამშრომლობისათვის.